

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებები

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია:

შპს „NES TRAVEL“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 8 აპრილს, საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ერეკლე II ქუჩა, შესახვევი 1/2, საქმიანობის ძირითადი ადგილი ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 109, საზოგადოების 100 პროცენტისაა წილის მესაკუთრე და ხელმძღვანელია ლიკა კრიხელი (პ/ნ 01030050316). შპს -ს ძირითადი საქმიანობაა საქათველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება.

„NES TRAVEL“ მიზნებია:

ჩამოყალიბდეს ლიდერ საერთაშორისო სტანდარტების მქონე ტურისტულ კომპანია, უცხოელ ტურისტებს მიაწოდოს გარანტირებული მაღალხარისხოვანი მომსახურება, დაასაქმოს კომპანიაში მაღალკვალიფიციური კადრები.

ამოცანებია:

მოიზიდოს პოტენციური კლიენტები და ეს გააკეთოს, რაც შეიძლება მინიმალურ ხარჯებში, ჩამოყალიბდეს ბიზნეს კონცეფცია, შეისწავლოს ბაზარი რაც შეიძლება კარგად და გააკეთოს შესაბამისი ანალიზი, კარგად განსაზღვროს სტაფის სიდიდე, მოვალეობები და შესაბამისად ბიუჯეტი

„NES TRAVEL“ მართვის ორგანოა:

დირექტორი

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით („მსს ფასს“), რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკითა და დამტკიცებული ანგარიშგების შესაბამისად.



ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირადობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, საზოგადოების ხელმძღვანელობას გაანალიზებული აქვს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგობებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს საზოგადოებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

„NES TRAVEL“ თავის ოპერაციებში ფუნქციონირებად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად საზოგადოება იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების, დებიტორული დავალიანებების, ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯები, ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ან დაფარავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ნაყიდი და ნაწარმოები ძირითადი საშუალებების შემოსავალში აღება და შეფასება ხდება თვითღირებულებით: რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, დაბრუნებად გადასახადებს, ადგილამდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.



შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მის სანაცვლოდ მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები ან სხვა ეკონომიკური სახის კომპენსაცია, შემოსავლების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხდება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება წყაროების მიხედვით, ხარჯები კი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგება და მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახდის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის ყოველთვიურ დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახდო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახდო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახდო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახდო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახდო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახდო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახდო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არაა, მიმდინარე საგადასახდო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახდო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახდო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.



მ. გოჭო

გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

	01.01.2023	31.12.2023
ფულადი სახსრები სალაროში	0	0
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	50 238	186 777
სულ	50 238	186 777

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით. 2023 წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის „NES TRAVEL“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით ერიცხება სხვადასხვა დასახელების ფასეულობები მარაგების სახით

	01.01.2023	31.12.2023
მარაგები	49 641	132 438

დებიტორები და სხვა მოთხოვნები

დებიტორულ დავალიანებას ძირითადად შეადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტიდან მისაღებ თანხას

	01.01.2023	31.12.2023
დებიტორები	473 995	139 995
სხვა მოთხოვნები		



მ. გიგინია

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით (პირვადელი ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი). ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შენდები წლიური განაკვეთები

შენობა-ნაგებობები	5	პროცენტი
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	20	პროცენტი
სხვა ძირითადი აქტივი	15	პროცენტი
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	5	პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15	პროცენტი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	20	პროცენტი

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	სულ
თვითღირებულება			
01.01.2023 წ	10 237 896	193 110	10 431 007
შემოსვლა			
გასვლა		63 288	63 288
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
01.01.2023 წ	(2 438 016)	(368 248)	(2806264)
აქტივების ცვეთა			
2023 წელს	(449 715)	(31 108)	(480823)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023 წ	9 788 182	225 290	10 013 472

ვალდებულებები და სხვა კრედიტორები

ვალდებულებები აღებულია მიმდინარე პერიოდში და მასზე ჩვეულებრივად პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ვალდებულებები	01.01.2023	31.12.2023
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	71 818	89 735
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		



მ. გოჭო

საგადასახადო ვალდებულებები	372 526	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	231 358	0
სულ	675 702	89 735

დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების დივიდენდების სახით განაცემები შეადგენს 142 372 ლარი, რაზედაც შესაბამისი მოგების გადასახადი გადახდილია და დეკლარირებულია საგადასახადოში.

ფინანსური დანახარჯები

2023 წელს „NES TRAVEL“ ბანკის სესხითა და ბანკის ოვერდრაფტით არ უსარგებლია

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

„NES TRAVEL“ არა ყავს მეკავშირე საწარმოები და ამდენად ინვესტიციები არა აქვს განხორციელებული.

არამატერიალური აქტივები

„NES TRAVEL“ 2023 წელს არამატერიალური აქტივები არა აქვს შეძენილი.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მომავალში მოგების გადასახადის შემცირების შედეგად მოსალოდნელი სარგებლის საგადასახადო შედეგებს. საზოგადოებას არა აქვს ნაღიარები გადავადებული საგადასახადო აქტივებისათვის შეფასების რეზერვი, რადგან წარსული წლებისა და სამომავლო პროგნოზის საფუძველზე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება სამომავლო მოგების გადასახადის განსაზღვრისას მისი გამოქვითვა.



ლ. გიგოზა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისობები

შპს „NES TRAVEL“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის დადგენილი გადასახადების გადამხდელი.

NES TRAVEL ძირითადი და დამხმარე საქმიანობის მიხედვით არის მოგების, დამატებული ღირებულების გადასახადის, ქონების გადასახადის გადამხდელი, ხოლო განაცემების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი.

საშემოსავლო გადასახადი

შპს „NES TRAVEL“ მიერ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები;

შპს „NES TRAVEL“ ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით სულ საანგარიშო წლის განმავლობაში დეკლარირებულია 122 952 ლარი. საშემოსავლო გადასახადი გადახდილია თანამშრომელთა სახელფასო განაცემების და ფიზიკური პირების მიერ მიღებულ მომსახურებაზე გაცემული ანაზღაურების მიხედვით.

მოგების გადასახადი

2017 წლიდან „NES TRAVEL“ მოგების გადასახადის გადამხდელია ესტონური მოდელის მიხედვით, აღნიშნულ გადასახადს საზოგადოება იხდის ამ მოდელით დაბეგვრის მომენტის დადგომისას.

2023 წელს მოგების გადასახადის დეკლარაციები წარდგენილია ყოველთვიურად

ქონების გადასახადი

შპს „NES TRAVEL“ არის ქონების გადასახადის გადამხდელი

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

შპს „NES TRAVEL“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამომავლო აქტივებსა და ვალდებულებებზე, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე მოსალოდნელი მოვლენებზე აკეთებს შესაბამის პროგნოზებს.



Handwritten signature in blue ink.

თავდაპირველი აღიარება

ხელმძღვანელობა აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 39 მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ტრანზაქცია საბაზრო ღირებულებას, ან თუ არ შეესაბამება, მაშინ როცა აღნიშნული ტრანზაქციისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის დასადგენად შპს „NES TRAVEL“ ხელმძღვანელობა აკეთებს შეფასებას, ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ: სიმძლავრეს და ფიზიკურ მდგომარეობას, ტექნიკურ მხარეს, გამოყენების ვადას, კომერციულ გამოყენებას და ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა.

საკრედიტო რისკი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს რისკს, რითაც შეიძლება ფინანსური ზარალი მიადგეს საზოგადოებას, ხელმძღვანელობა რისკის შესამცირებლად ცდილობს ურთიერთობა ჰქონდეს კრედიტუნარიან კრედიტორებთან,

ლიკვიდურობის რისკი

საზოგადოების ხელმძღვანელობას არჩეული აქვს პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც ის გონივრულად მართავს მოსალოდნელ ლიკვიდურობას შესაბამისი პროცედურებით: აქვს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშების ნაშთები, ფლობს მაღალ ლიკვიდური აქტივებს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები
საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა,

დირექტორი:

თ. წიქოშვილი

მთ.ბუღალტერი:

ბ. ყოყოყაძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები
მარაგები

მზა პროდუქცია

სხვა

საინვესტიციო ქონება

სხვა მოკლევადიანი აქტივები

ბიოლოგიური აქტივები

თვითღირებულების მოდელით

გადაფასების მოდელით

გუდვილი

სხვა არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

სხვა გრძელვადიანი აქტივები

სულ აქტივები

საიჯარო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები

ანარიცხები

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

საგადასახადო ვალდებულებები

გამომუშავებული შემოსავალი

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

მიღებული გრანტები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
186777	50238	117359
75502	83671	2734
318042	318042	382795
132438	108390	49641
		0
57622	57622	49641
		0
139995	473995	451358
		0
		0
		0
		0
		0
10013472	10431007	11006453
	0	0
	0	0
	0	0
10923848	12010340	12307100
0	0	0
89735	71818	12775
	0	0
	0	0
0	372526	237065
	0	0
	0	0
	0	0
	0	0
	231358	3606072
89735	675702	3855912

ვალდებულებები



Handwritten signature

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	0	0
გადაფასების რეზერვი	10834113	10847263	8154428
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	10834113	10847263	8154428
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10923848	11522965	12010340
სულ მოკლევადიანი აქტივები	139995	473995	451358
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	89735	675702	3606072



დირექტორი *მ. ქარსია*
 მთ. ბუღალტერი *ბ. გოგიძე*

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები	3803367	5939405	1502430
საქონლის გაყიდვიდან			1502430
მომსახურების გაწვიდან	3803367	5939405	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			0
სხვა			0
გაყიდვების თვითღირებულება			0
საწესი მარაგები			0
მარაგების შესყიდვა			0
გადამუშავების დანახარჯები			0
საბოლოო მარაგები			0
საერთო მოგება	3803367	5939405	1502430
სხვა საოპერაციო შემოსავალი	261411	376250	541988
დასაქმებულთა ანაზღაურება	-122952	-136715	-42613
ვვითა / ამორტიზაციის ხარჯი	-480823	-625018	-537262
საპროცენტო შემოსავალი			0
საპროცენტო ხარჯი			0
იჯარის ხარჯი			0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2644275	-5856087	-1407770
სულ საოპერაციო ხარჯები	-3248050	-6617820	-1445657
საოპერაციო მოგება	816728	-302165	56773
გაუფასურების (ხარჯი) / ადღენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) /			0
ადღენა			



Handwritten signature: ი. ჯიბილაძე
Printed name: ი. ჯიბილაძე

მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა
 სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების
 (ხარჯი) / აღდგენა
 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური
 ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების
 გადაფასებიდან
 მიღებული დივიდენდები
 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)
 მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე
 განგრძობითი ოპერაციებიდან
 მოგების გადასახადის ხარჯი
 აანგარიშებო პერიოდის მოგება / ზარალი
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):
 ძირითადი საშუალებების (მათ შორის,
 ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი
 სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე
 ააწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი
 და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)
 სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:
 თლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)
 აკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის
 დასაწყისში
 ხალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში
 ააპიტალის გაზრდა, კოოპერატივის შემთხვევაში
 ააპიო კაპიტალის გაზრდა')

0			
0			
0	-18903		
0			
0	-52650		
56773			
0			
56773	-71553	-302165	
0			
0			
0			
56773	745175	-302165	
8097655	10847263	8154428	
0			



Handwritten signature in blue ink.

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის
დივიდენდი)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში
კაპიტალის სხვა ცვლილებები

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის
ბოლოს

-758325	2995000	0
10834113	10847263	0
		8154428

დირექტორი

ლ. ჯიხუა

მთ. ბუღალტერი

მ. ჯორდიაძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
136539	-67121	97294
		0
		0
136599	-67121	97294
50238	117359	20065
186777	50238	117359

დირექტორი

მ. გიგია

მთ. ბუღალტერი:

მ. გიგია

